№ 145 20 მკათათვე, ხუთშაბათი 1866–1878 20 მკათათვე, ხუთშაბათი № 145

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, Ივ. ამირალოვის სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ვენა, 18 ივლისს. გუშინ ათ საათზე ავსტრიის არმიის მოწინავე ჯარები გადავიდნენ ბოსნიის საზღვარზე მდ. სავაზე.

ლონდონი, 18 ივლისს. დეპუტატმა გარტინგტონმა სთქვა საზოგადოებათა პალატაში, რომ შარშან იგნისში რუსეთი უფრო მსუბუქ პირობებს სთხოვდა ოსმალეთს, ვინემ ახლა ბერლინის კონგრესმა დაუთმო იმასაო. რატომ მაშინ არ ურჩია ინგლისის მმართებლობამ ოსმალეთს, რომ ამ პირობებზე დათანხმებულიყოვო? ორატორი ჰკიცხავს ინგლისის მოქმედებას საბერძნეთის შესახებ; სლავიანებმა იმიტომ უკეთ გაათავეს თავის საქმეო, სთქვა გარტინგტონმა, რომ რუსეთს ეჭირა იმათი მხარეო; შემდეგში, უეჭველია, საბერძნეთიც რუსეთს მიემხრობაო.

ბროდი, 17 ივლისს. დღეს დილის ათი საათიდამ ბოსნიის ნაპირზე ავსტრიის დროშაა გაშლილი.

ვენა, 17 ივლისს. ერცგერცოგმა იოანნ სალვატორმა პირველმა დადგა ფეხი ბოსნიის ნიადაგზე და ამართა ავსტრიის დროშა. უმთავრესს კორპუსს ავსტრიისას მოუძღვის ფილიპპოვიჩი; ხვალ ეს კორპუსი გადავა მდ. ბროდზე; გზაზე ავსტრიის ჯარებს ჯერ არავითარი დაბკოლება არ მისცემიათ.

სტამბოლი, 17 ივლისს. გუშინ ხონთქარმა მოაწერა ხელი ბერლინის ტრაქტატს.

პეტერბურღის ბირჟა, 18 ივლისს

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი გამოცემის —	97—	50
მეორესი — — — —	96—	37
მესამესი — — — —	96—	„
მეოთხესი — — — —	96—	„
აღმოსავლეთის — —	95—	12
ოქრო, ½ იმპერიალი—	7—	77
თფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი— —	„—	„

შინაგანი 5% სესხის ბილეთები:

	მან.	კაპ.
პირველი სესხის — —	233—	5
მეორე სესხის — — —	235—	„

1 მანეთი ღირს:

ლონდონი—	25—59	პენსი
ამსტერდამი—	128— „	ცენტი
ჰამბურგი— —	217—25	პფენიგი
პარიჟი — —	267—25	სანტიმი

საქართველო

დღიური

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ალექსანდროვის სამასწავლებლო ინსტიტუტში წელს 12 (თორმეტ) ქართველს შეუსრულებია კურსი და მიუღიათ მოწმობა მასწავლებლობის უფლებისა.

*** ამბობენ, რომ ქართულისა და სომხური მწიგნობრობისა და ისტორიის მცოდნე აკადემიკოსი ბროსსე ქართული ლიტერატურის ისტორიას სწერს ამჟამად ფრანცუზულს ენაზედაო.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ერთგული და კეთილსინიდისიანი მოღვაწე ჩვენი პედაგოგიური ლიტერატურისა უფ. იაკობ გოგებაშვილი აპირებს ჩვენი შკოლებისათვის პატარ-პატარა ადვილ საკითხავ წიგნების გამოცემას, რომელთაც პატივს სცემს. მრთელი ოსმალოს ატრიადის სურსათი (პროვიზია) ქობულეთში მოდის და იქიდგან ყველა ჯარებს ურიგებენ.

ფელეტონი

ქობულეთიდამ

(„დროების“ კორრესპონდენცია)

ჩვენს ატრიადში და თათრების ჯარებში არავითარი ახალი ამბავი არა არის-რა.

ქობულეთის ქალაქი ისეთი აღარ არის ახლა, ადრე რომ გინახამთ: ალი-ფაშის კარგი სახლი, უკანასკნელი სროლა რომ იყო, მაშინ ჩვენის ზარბაზნის ყუმბარებით ძრიელ „შეილახა“ და იქაურს ჯარებს თითქმის მთლათ გაუფუჭებიათ; ეგრეთვე ბევრი სხვა სახლები ამ გვარათ არის აოხრებულები. რაც შეეხება თითონ ქალაქს, არც ადრე იყო კარგი, მაგრამ ეხლა სულ უფრო გაფუჭებული არის. დუქნები დანგრეულია; სავაჭრო სასმელ-საჭმელი იშოვება, მაგრამ ერთობ ძვირათ.

ჯარები ბევრი სდგანან ამ ქამათ ქობულეთში: ქობულეთის მცხოვრები მილიციონერები, ერთი დრუჟინა არის აქ გაჩერებული; ამათ უფროსად არის იბრაჰიმ-აღა პაში-ოღლი. ნიზამებიც იქნება უმეტეს 2,000 კაცისა თავის არტილერიით.

ციხის-ძირზედ და გარდმოღმა გორაზედ თუ მოემატა ჯარი, თორემ ნაკლებობას ვერ შენიშნავთ.

მიმოსვლა ჩვენსა და ოსმალოს საზღვარზე როგორც აქამდის, აღარ არის: ბილეთი თუ გაქვს, შეგიძლიან კაიმაკამთან (მაზრის უფროსთან) მიხვიდე საქმისათვის. კაიმაკამად სულეიმან-ბეგი არის, ქვედაური კაცია; რა გვარია, არ ვიცი; უამისოთ მოსვლა შეიძლება, თუ კარგი კარის კაცი გყავს; მარა არა აშკარათ, საიდუმლოთ.

ტალახაზედ ოსმალოს ჯარები ისრე დგანან, როგორც ადრე იდგნენ და იმათ კამანდობს როგორც პირველ ეხლაც ოსმან-აღა თამაზ-ოღლი.

როგორც თათრებმა მითხრეს, დერვიშ-ფაშა ბათუმში არის ამ ჟამად და ორნი ძმანი ალი და ოსმან-ფაშები თავდგირიძენიც ბათუმშივე უნდა იყვნენ. მურიდ-ბეგი თავდგირიძე კი ქობულეთშია. ჩვენებურს კაცს თუ ვინმეს ნახავს, ძრიელ

ჩვენი ჯარები სდგანან ხუც-უბანს და მუხა-ესტატეზედ; რამდენიმე აჭყვის წყლის პირზედაც არიან მარჯვენა მხარეზედ. ოსპანის მინდორი ცხენების საძოვრათ აქვთ. პირველი დრუჟინა შუშინის ჯიხანჯურს არის დაბანაკებული. ქახელები ქობულეთის ატრიადში არიან, და დანარჩენი გურულები დაყოლეაით ჩოლოქის პირათ დგანან და იცვენ ჩვენს ძველს სამზღვარს.

მადლობა ღმერთს შესანიშნავი სნეულება და სიკვდილი ჯერ-ჯერობითი აქ არა არის-რა.

ლაპარაკი ჩვენს და თათრების ჯარებში ბევრი არის: ჩხუბი იქნება თუ მორიგებაო?

ნეტავი დროზედ იქნას რამე და რაც იქნება, იქნეს.

ამისთანა გაუთავებელი ამბების სმენას და ასრე უქმად ყოფნას ყველაფერი სჯობია...

ქობულეთელი

11 ივლისს.

ერქმევა საზოგადო სახელი „პატარა ბიბლიოთეკა“. პირველ შემთხვევისათვის, როგორც გაეიგეთ, ის ლაბულეს ჩინებულს ზღაპარს „ფ ა შ ა მ წ ყ ე მ ს ს“ აბეჭდინებს. საზოგადო ხასიათი ამ წიგნებისა ისეთი იქნება, რომ ისინი ერთსა-და-იმავე დროს ჩვენი შკოლებისათვისაც ადვილად გასაგები და სასარგებლო უნდა იყვნენ და ხალხისთვისაც. თითო წიგნის ფასი ორ შაურზე მომეტებული არ იქნება.

*** მანგლისიდამ გვწერენ, რომ ამ ჟამად იქ. ისეთ ნაირად გრილაო, რომ დღისითაც კი უპალტოოთ კაცი გარეთ ვერ გამოვაო.

იქიდამვე გვატყობინებენ, რომ, რადგან აქ არის ახლა დიდძალი ჯარი მოგროვილი (სხვათა შორის ქართველი მილიციონერებიც), ამის გამო ცხოვრება ცოტა არ იყოს გაძვირდაო.

*** ბორიიდამ გვწერენ, რომ ჩვენში სანატრელი დარ…ბი არისო და ნამუშავარიც ძრიელ კარგი მოდის ჯერაო. სნეულებაც საქონლისა და ხალხის შემცირებულა. მაგრამ მუშა კაცი ისე გაძვირდაო, რომ ადრე რომ ექვსსა და შვიდ შაურს ვაძლევდით დღეში უბრალო მუშას, ეხლა ერთ მანეთად რომ იშოვნო შენის ხარჯით, კიდევ დიდათ დაგამადლის: „ტყუილათ მოვეხმარეო.“ სოფელში ამბობენ: „რა ვქნათ, შენ დალოცვილო, მანეთი ექვს შაურათ გადისო და ჩვენც იმის დაგვარად გვექირება ფულებიო.“

*** ახალციხიდამ იწერებიან „თფილისის მოამბეში“, რომ ჩვენს ქალაქში, სხვა ქალაქებთან შედარებით, ცხოვრება უფრო იაფათ ჯდებაო; ამ უკანასკნელ დროს აჭარიდამ შემოდის ბევრი საკლავი საქონელი, ხორაგეული და სხვა ყველაფერიო; ჩვენი ვაჭრებიც ხშირათ დაიარებიან აჭარის იმ ნაწილებში რომელნიც ჩვენის ჯარებით არის ამ ჟამად დაჭერილიო. სხვაფრივ აქეთკენ სრული მშვიდობიანობა არისო, ქურდობისა და ავაზაკობისა სრულებით არა ისმის-რაო და სხვ.

*** როგორც მოგეხსენებათ, წლევანდლამდის ქალაქში მუდამ ვირებითა და ცხენებით ჩამოჰქონდათ (უფრო ანდრეევსკის ტყიდამ) ნახშირი, ჩერდებოდნენ ნახშირის და სხვა მაღდნებზე ჰყიდდნენ და თუ აქ არ იყო მუშტარი, ქუჩა-ქუჩა ატარებდნენ და გვიტკბობდნენ ყურთა-სმენას დაუწყნარებელის ყვირილით: „ნახშირი! ნახშირი!“

საუბედუროთ, ეს ყვირილი ახლა აღარ გვესმის. მიზეზი ის, რომ ახლა, ამ ომიანობის დაწყების შემდეგ, მენახშირეებს პირ-და-პირ მოვაჭრე სომხებთან მიაქვთ-ტომრები, იქ სცლიან და შემდეგ ესენი ჰყიდიან ერთი-ორად, ერთი-სამად.

ამ ნაირად მენახშირეებიც მოგებაში არიან, რადგან დაუყოვნებლივ ასაღებენ თავიანთ შავ საქონელსა და სომხებიც, რომელნიც, რასაკვირველია, ფულის ყოველ სახსრით მოგებაში კარგათ დახელოვნებულნი არიან. ქალაქი? ღარიბი მცხოვრებლებიო? მკითხავთ. ნეტავი თქვენ, ქალაქს ვინ აქცევს ყურადღებას! ღარიბი მცხოვრებლებისთვის ვის რად ედარდება!. .

„დროების“ კორრესპონდენცია

ოქუმი, 8 ივლისს. აბხაზეთის უმფროსი უფ. არაკინი მისულა სამურზაყანოში და დურიგებია შემწეობა ფულათა იმ ქვრივი და ობლებისთვის, რომელთაც მამა ანუ ქმარი იყო მოკლული გავლილ ომის დროს. აგრეთვე ომში მძიმედ დაჭრილებისთვინაც.

„მე ვთხოვე დიდ მთავარსაო ეთქვა ხალხისთვის უფ. არაკინს, რომ ექნა მოწყალება საწყლათ დარჩენილებისათვინ სამურზაყანოშიო, და იმან ინება და მომანდო მეო, რომ დანიშნული ფული დაურიგო ქვრივ-ოხრად დარჩენილთაო.“

წინაპირველათ უფ. არაკინს გამოუცხადებია საზოგადოებისათვის, რომ ამოერჩიათ დეპუტატები და ამ დეპუტატებს უნდა წარედგინათ ქვრივ-ობოლი და მძიმეთ დაკოდილნი. მაგრამ ამ დეპუტატებმა მომეტებული ნაწილი მდიდარნი წარადგინეს და მათთვინაც უნდა მოეცა სამოწყალო. ზოგმა მდიდარმა მიიღო 50 მანეთი, ზოგმა სამოცი და ოთხმოციც; ქვრივ-ობოლსა და მძიმეთ დაკოდილსა ზოგს 200 მანეთი მისცა, ზოგს 150 მან. და ზოგს 130 მანეთი. ვისაც დიდი გაჭირვება ჰქონდა, იმათ აძლევდა ბევრსა და ვინც ცოტა-იმათ ნაკლებს. ქვრივებთან თვითონ უფ. არაკინი მიდიოდა სახლში და ისე რამოდენიც ერგებოდა ჩააბარებდა ხელში და იქავე დავთარში ჩაწერდა ხოლმე. ამ დღეებში აქ მოელიან კანტროლიორს სამურზაყანელი მილიციების საქმის გამოსაძიებლათ, რომლის თაობაზედაც სხვათა შორის დაბეჭდილია ამ წლის „დროების“ №№ 76 და 164-ბში. სხვები კი ამბობენ, რომ მამომაძიებელი ვითომ კიდეც ყოფილა, დაუხედავს პოლკის კანცელარია და მალე ისევ წასულავო უკანაო. პოლკის უმფროსის შემწეები ამბობენ: იმას მოუვიდა ისეთი დეპეშაო, რომ ერთს საათს არ შეეძლო მოთმინებაო და სამურზაყანოში ამით გათავდაო ყოვლისფერის გამოძიებაო. ეს რომ შეიტყეს, მოგროვდნენ ოქუმის სასტუმროში პოლკის უფროსის შემწეებიცა და მომჩივნებიცა ნაშუადღევს 8 ივლისს. შემწეებმა სთხოვეს მომჩივნებს, რომ არ ითხოვონ ჯამაგირის ანგარიში წასულის დროებისა და ვისაც მათგანს აკლია, ჩინი და ორდენი მიეცემათ! მაგრამ მომჩივნებმა უარი უყვეს: ჩვენ ჩინს და ორდენებსა ახლა ვერ ვიშოვნით თქვენის პირობითაო, ჩვენ გვინდა მოვსძებნოთო—რას გვაძლევდნენ ჯამაგირათ ჩვენ ხაზინიდანაო და ის მივიღოთო. შემწეები იმედს აძლევდნენ, რომ ჩვენგან მიიღეთო ყოველი კმაყოფილება და ნუ სჩივით მთავრობასთანაო. მომჩივნებმა მოსთხოვეს კანონიერი დამტკიცება და ასრულება ამ დაპირებისა; მაგრამა შემწეებსა არ შეეძლო შესრულება თქმულისა და ამის გამო ორივე მხარენი უთანხმოებაში დარჩნენ. შემწეებნი არიან ჩინოვნიკები და აქაური დიდი კაცები; მომჩივარნი კი მათი უნცროსი ძმები, სუყველა დაბალი ხალხი..

მჭაკი

წერილი რედაქტორთან

—

უფ. რედაქტორო! ბევრჯერ თქვენს და სხვა გაზეთებში წავიკითხეთ და თვალითაც ვიყავით მნახვლნი—თუ რა ნაირს შეწუხებაში იყო ჩვენი ქართველი გლეხობა მილიციონერების აკრეფის დროს; ნამეტანად უფრო შეწუხებულნი იყვნენ დედები.

მაგრამ არ ვიცი, მართლა, რომ იტყვიან ბედით არის, თუ არ ვიცი რისამე განგებით, თითო-თითო შემთხვევას მოსდევს სხვა უარესი ამბავი ასე, რომ პირველს მწუხარებას ანუ მხიარულებას დაავიწყებს და ფიქრობს შემდეგს შემთხვევაზე. აი ამის მაგალითი:

ამ ერთის კვირის წინეთ მე გახლდი ქალაქის ერთ მახლობელს სოფელში. ამ სოფელში ვნახე რაღაც ქოთქოთი, ჩურჩული და ლობის ძირში რაოდენიმე ქვრივი დედაკაცების კრება, რომელთ სახეები მოუთხრობდენ შემხედავს მწუხარების ნიშნებს.

ღმერთმა დასწყევლოს ეშმაკი? რას მოვიფიქრებდი სხვას რასმე, მე ისევ მეგონა, რომ თავიანთ მილიციონერად წაყვანილ შვილებზედ ნაღვლობენ და ტირიან-მეთქი. მაგრამ გამოვიდა სხვა მოუფიქრებელი მიზეზი. ჩემმა ნათლიდედამ მკითხა:

—ნათლო! შენ სულ ქალაქში ხარ და გაზეთის ქაღალდებს კითხულობ; მართალია, ქვრივი დედაკაცებიც უნდა წაიყვანონ ჯარში?

—როგორ თუ ქვრივი დედაკაცები, რას ამბობ? ვკითხე.

—როგორ არა, მითხრა, ამას წინეთ თურმე რაღაც მოწერილობა ნაჩალნიკისაგან მოსულა და ვინც უფრო ახალგაზდა ქვრივი და ჯანიანი არიან, სულ აუწერიათ ჯარში წასასვლელათ, უნდა იქ დაჭრილებს ემსახურნენ და ჯარსაც პური უნდა უცხონ! მიუმატა კიდევ:—გაზეთებიც იწერებიან, თუ არა?

მე გამეცინა და უთხარი:

— არ ვიცი, მე ეგეთი გაზეთი არსად წამიკითხავს-მეთქი.

აი თურმე ამ ამბავზედ გხლებიათ იმათი ქოთქოთი; ამისა გამო ზოგი თურმე აპირებს გათხოვებას, ზოგი ეხვეწება სოფლის მოხელეს, სიიდამ აძამშალე როგორმეო, ზოგი რას ცდილობს და ზოგი რასა თავის თავის გადასარჩენათ. Oუჰცა კიდეც ჰპირდებიან საჩუქარს მამასახლისს, მაგრამ მაინც დიდს ფიქრში არიან.

ჩემს იქ ყოფნაში გავიგე, რომ ამ ამბისა გამო ორი ქვრივი დედაკაცი მომზადებულან გასათხოვრად და კიდეც დანიშნულან. . . . .

ვინც კი ამაზედ ამბავს რასმე იკითხავდა, მე ყველას ვეუბნებოდი, რომ ტყუილია, ეგ თავის დღეში არ იქნება-მეთქი; ჩვენი მამასახლისიც ეგრე გვეუბნება, მაგრამ გვატყუილებთ, თქვენ სწორეს არ გვეუბნებით. . . . . .

მე ჩემის მხრით ყოველი ღონის-ძიება ვიხმარე დამეჯერებინა, მარამ ვერა გავწყე-რა. Oრთის კვირის უკან, ქალაქსვე გიახელით და არ ვიცი, ეხლა სხვა რაღა ჭორს მოიგონებენ ქვრივი დედაკაცები. მე კი საქართველოს მეფის ბაგრატის დროს მოგონილი ქვრივი დედაკაცებისაგან ჭორი მამაგონდა და სწორეთ კიდეც იმასთან დავაბადლე და ისევ მისსავით მეც თავი ვანებე...

სოფლ ს ხაშმის სტუმარი

15 Oვლისს.

OმIს შემდეგ

Oსმალეთი

Oდესაში მოელიან Oსმალეთიდგან გამოგზავნილ პირებს, რომელთაც მინდობილი აქვთ ჩაიბარონ რუსის მთავრობისაგან გაველილს ომში აყვანილი Oსმალოს ტყვეები.

ამას გარდა ამ კამისარებმა და რუსეთის მხრით დანიშნულ პირებმა ერთად უნდა მოილაპარაკონ და გარდაწყვიტონ—თუ რამდენი დახარჯვია რუსეთს ხსენებული ტყვეების შენახვისათვის და როგორ უნდა გადაუხადოს Oსმალეთმა რუსეთს ეს ვალი.

—„პოლიტიკურს კორრესპონდენციაში“ დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა 11 ივლისს სტამბოლიდამ მიღებული:

„რუსის ჯარების თექვსმეტმა ბატალიონმა დაიჭირა დღეს შუმლა. ამ ქალაქის ციხის გასაღები რუსის ჩინოვნიკებმა ჩაიბარეს Oსმალებისაგან, რომელნიც ვარნაში წავიდნენ.

„ამჟამად გაცხარებული მოლაპარაკებაა იმის თაობაზედ, რომ რუსის ჯარებმა უნდა დაიწიონ სან-სტეფანოდამ და საზოგადოთ სტამბოლის არე-მარედამაო. რუსები ამბობენ, ჩვენ მხოლოთ მაშინ დავიწევთ უკანო, როდესაც ოსმალები ვარნას დასცლიან და დაგვითმობენო.“

— ბევრი ლაპარაკი და დიდი დავიდარაბა ჩამოვადნილა Oსმალეთის მმართებლობაში ერთი უბრალო შემთხვევისაგან, რომელიც ამ მოკლე ხანში მოხდა სტამბოლში. საქმე იმაშია. რომ ჩარაგანის სასახლიდამ, რომელშიაც დამწყვდეულია გარდაყენებული ხონთქარი მურადი, ამას წინათ გაიქცა ამ მურადის ერთი ცოლთაგანი ჩერქეზის ქალი ნახსი-ხანუმი.

ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა მიაწერეს, რადგან ამბობენ, რომ იმ ნახსი-ხანუმს გარდამდგარი ხონთქრის დედისაგან (ვალიდესაგან) მინდობილი ჰქონდაო, გარდაეცა თავის შვილის მომხრეებისათვის—თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ ისინი, რომ დამწყვდეული ხონთქარი გაენთავისუფლებინათ და ისევ აეყვანათ ტახტზე.

პოლიცია გაცხარებით დაეძებს ამ ჩერქეზის ქალს, მაგრამ ჯერ იმის კვალიც ვერ უპოვნიათ.

Iტალია

ამბობენ, ვითომც Iტალიას არა ჰსურსო, რომ ბერლინის ტრაქტატზე ხელი მოაწეროსო. გაზეთებში იწერებიან, რომ ამ ამბავის გაგებამ Iნგლისის მთავრობა ძალიან აღელვეო, რადგან, შესაძლებელია, რომ კიდეე არეულობა მოხდეს Eვროპაში, და ამის გამო Iნგლისი ცდილობსო, როგორმე Iტალიას მოაწერინოს ხელი ამ ტრაქტატზედო.

საფრანგეთი

ლონდონის გაზეთის „ტაიმსის“ პარიჟელი კორრესპონდენტი იწერება, რომ ძე მქონდა ხანგრძლივი ლაპარაკი ბამბეტასთან ბერლნის ტრაქტატის თაობაზედ და იმის სიტყვებიდამ ის ჰაზრი გამოვიყვანეო, რომ ეს საფრანგეთის რესპუბლიკელების მოთავე კმაყოფილი არის ამ ტრაქტატისაო. ბერლინის ტრაქტატის წყალობით სამი იმპერატორის (ბერმანიის, რუსეთისა და Aვსტრიის) კავშირი და მეგობრული განწყობილება სრულებით მოისპო და დაიშალაო, საფრანგეთი Iნგლისს დაუახლოვდაო და ეს ორივე გარემოება საფრანგეთისათვის მეტად სასარგებლო და სასურველი მოვლენება არისო.

სლავიანური მიწები

Eრთს ფრანცუზულს გაზეთში მოყვანილია საინტერესო ცნობები იმაზე—თუ ბერლინის ტრაქტატის გამოისობით ბალკანის ნახევარ-კუნძულზე რა ცვლილება მოხდა.

სერბიამ, ბერლინის ტრაქტატით, მიიღო სრული დამოუკიდებლობა Oსმალეთისაგან და ამას გარდა იმან შეიძინა 210 ოთხ-კუთხი მილი მამული და 280,000 მცხოვრები. Aსე რომ ამ ჟამად სერბია შეიცავს 1000 ოთხ-კუთხ მილს და 1,600,000 მცხოვრებელს.

ჩერნოგორიამ შეიძინა 80 მილი მიწა და 50,000 მცხოვრები. Aხლა ის შეიცავს სულ 165 მილს მამულს და 250,000 მცხოვრებელს.

ბოლგარია, რ-გორც მოგეხსენებათ, ორ ნაწილად არის გაყოფილი: ჩრდილოეთი ბოლგარია, თავისუფალი სამთავრო, რომელიც ჭარტოს ხარკს მასცემს მუდამ წელს Oსმილეთსა. შეიცავს 1,170 ოთხ-კუთხ მილს მიწასა და 1,700,000 მცხოვრებელს. სამხრეთი (Oსმალეთისაგან დამოკიდებილი) ბოლგარია ანუ Aღმოსავლეთი რუმელია (როგორც ბერლინის კონგრესმა დაარქვა) შეიცავს 660 მილს და ერთს მილიონ მცხოვრებელს.

რუმინიამ დაჰკარგა ბესსარაბიის ნაწილი, მაგიერად მიიღო Dობრუჯუ, რომელიც შეიცავს 130 მილს და 100,000 მცხოვრებელს; ასე რომ რუმინიას შეადგენს 2,230 ოთხ-კუთხი მილი მიწა და 4,700,000 მცხოვრებელი.

განცხადებანი

ამ თვის 15-დამ ვიდრე თვის დამლევამდინ დანიშნულია შემდეგი **ტაქცია ხორაგეულისა**, რომელიც ქალაქის ბაზრებში და დუქნებში ისყიდება:

ბამომცხვარი პური:

რუსეთის ხორბლისაგან გირვანქა	12 კ.
Oდესის ფქვილისა— — — —	6 კ.

Aდგილობრივი ფქვილის ფურნეში გამომცხვარი:

პირველი ხარისხის,	5 გირვანქა	—აბაზი
მეორე ხარისხის	6 გირვანქა	—აბაზი
მესამე „	7 გირვანქა	—აბაზი
ჯვარის-მამის პურის	3½ გირვ.	—აბაზი
ლავაში პირვ. ხარისხის	2½ გირვ.	—აბაზი
„ მეორე ხარისხის (თათრის)	4 გირვ.	—აბაზი

ძროხის ხორცი:

პირველი ხარისხის უძვლო	1 გირვ.	—9 კ.
მეორე ხარისხის ძვლიანი	1 გირვ.	—7 „
სუკი	1 გირვ.	—15 „

ცხვრის ხორცი:

ერთი გირვანქა	— — —	—9 კაპ.
Aდგილობრივი ყველი	1 გირვ.	—15 კაპ.

ეს ტაქცია არ შეეხება სოფლის მწარმოებელთ, რომელთაც სხვა-და-სხვა ხორაგეული შემოაქვთ ქალაქში და მაედნებზედ და ბაზრებში ჰყიდიან.

(3—1)

კავკასიის საგებიო ინსტიტუტისაგან

ვისაც ამ Iნსტიტუტში შესვლა ჰსურს ბებიობის სწავლისათვის, თხოვნა უნდა მისცეს კავკასიის საშოქალაქო საექიმო უწყების გამგებელს (საპიოტრის ქუჩაზე, თ. რ. ანდრონიკაშვილის სახლებში).

Iნსტიტუტში კურს გათავებულებს ეძლევათ ქალაქის და უეზდის ბებიობის დიპლომი და იმათ სახელმწიფო სამსახურში მიიღებენ.

Iნსტიტუტის უმაღლესს განყოფილებაში შესვლის მსურველმა უნდა იცოდეს: რუსული ენიდამ: მართლ-წერა და კითხვა, სიტყვიერად თქმა და დაწერა წაკითხულისა; არითმეტიკიდამ: პირვე-

ლი ოთხი არითმეტიული მოქმედება, სახელობითი რიცხვნი და სრულის ნაწილები (დროები). ვინც ინსტიტუტის მდაბალ განყოფილებაში შედის, იმას მოეთხოვება მარტო რუსული წერა-კითხვის ცოდნა და სიტყვიერად ახსნა წაკითხულისა. აქ განყოფილებაში კურს-შესრულებულთ ეძლევათ სოფლის ბებიობის დიპლომი (მოწმობა).

ინსტიტუტში შესასვლელი ქალი 16 (თექვსმეტის) წლის ნაკლების არ უნდა იყოს და 30 (ოც-და-ათზე) უხნესი.

თხოვნასთან უნდა იქნეს წარდგენილი: მეტრიკული მოწმობა დაბადებაზედ, მონათვლისა და ამას გარდა დედ-მამის ნებართვა ან ქმრისა, თუ ქმრიანია, რომ ისინი დაბრკოლებას არ აძლევენ ინსტიტუტში შესვლისათვის.

სწავლის ფასი: მომსველელ შაგირდებისათვის წელიწადში 40 (ორმოცი) მანეთი, პანსიონერკებისა, რომელნიც ინსტიტუტის სრულს ხარჯზე იქნებიან, 200 (ორასი) მანეთი წელიწადში და ამას გარდა შესვლისათანავე ჩაცმადახურვისათვის კიდევ 60 (სამოცი) მან.

სწავლის ფასი მთელის წლისა წლის დამდეგს უნდა იქნეს შეტანილი.

სწავლა ორ წელიწადს გრძელდება; პირველ კურსში ასწავლიან: ანატომიას, ფიზიოლოგიას, ბებიობას, წამლების გამოცნობას და დამზადებას და დაჭრილების მოვლას. მეორე კურსში: ბებიობას, ქალის, ყმაწვილისა და სიფილისის ავათმყოფობის ექიმობას, გიგიენას და ყვავილის აცრას.

მგზამენები ინსტიტუტში მისაღებ ქალებისათვის დანიშნულია 22 აგვისტოს.

(3—1)

გამოვიდა და ისყიდება
„ოლი ვიტირო, თუ ფული?“
კომედია აღ. თუთაევისა
ისყიდება: ქალაქში—ყველა წიგნის მაღაზიებში და ალექს ჯიმშეროვთან, თელავს—იოსებ ქუზმანაშვილთან, ქარელს—დავით ქეროჩაშვილთან, ხაშურისა და ბეჟათუბნის უფეტში, სურამს—ზაქარია არუყოვთან, ქუთაისს—იაკობ ოჭანეზოვთან და სე. ცერვაძესთან ფოთში—ელისბარ ბაბალოვთან, ცხინვალს—თ. იე. თაქთაქოვთან, საქაშეთს—თ. ნიკ. დიასამიძესთან, მეჯვრისხევს—მასწ. მოსე ნათაძესთან, ბორში—სტ. ზომოევთან და თვითონ აეტორთან.

დაიბეჭდა და ისყიდება უფ. ბიგო ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში; ახალი წიგნი.

ლექსთა კრება

თ. გრიგოლ ორბელიანისა, ილია ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლისა, ანტონ ფურცელაძესი, იანე კერესელიძესი, იოსებ ბაქრაძესი და სხვებისა.

შეკრებილი და გამოცემული
ზაქარია ჭიჭინაძისა
ფასი ორი შაური.

გამოვიდა და ისყიდება

„თამარ ბატონიშვილი“

ხუთ-მოქმედებიანი დრამა საქართველოს მე-XIII საუკუნის ცხოვრებიდამ, გადმოკეთებული ბრ. რჩეულოვის რომანიდგან „საქართველოს თამარ ბატონიშვილი“

კ. მესხისაგან.

ისყიდება: თფილისში—ყველა წიგნი მაღაზიებში,
ქუთაისში—ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

ფასი ყველგან ექვსი შაური.

გაიხსნა თფილისში

ქართული წიგნის მაღაზია,

სადაც მსურველთ შეუძლიანთ მოიპოვონ ყოველგვარი ქართული ძველი და ახალი წიგნები.

მაღაზია იმყოფება ქაშვეთის ეკლესიის ქვემოთ დუქნებში, № 2.

ბარეშე მცხოვრებთ შეუძლიანთ დაიბარონ ყოველგვარი ქართული წიგნები შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Въ книжный магазинъ Григорія Чарквіани, въ зданіи Кашветской церкви, № 2.

ქუთაისში
ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში ისყიდება:

1) დედა ენა, ი. ბოგვანაშვილისა, ფასი 45
2) ანუკა ბატონიშვილი, ისტორიული მოთხრობა ბრ. რჩეულოვისა ფასი 20კ.
3) ოლი ვიტირო, თუ ფული? კომედია აღ. თუთაევისა, ფასი 30 კაპ.
4) ვეფხვის ტყაოსანი, შოთა რუსთველისა, ფასი 50 კაპ.
5) მეფე ლირი, დრამმა შექსპირისა, ფასი 60 კაპ.

და აგრეთვე სხვა ყოველგვარი ქართული და სახელმძღვანელო რუსული წიგნები კარტები, ატლასები, სურათები და სხვ.

ისყიდება თფილისში „ცენტრალურს წიგნის მაღაზიაში“ ქართული

„სამზარეულო წიგნი“

შედგენილი ანა ბარ. ჯორჯაძისაგან. ფასი ათი შაური.

ისყიდება თფილისში „ცენტრალური წიგნის მაღაზიაში“ ქართული სამზარეულო წიგნი“. შედგენილი კ-ნ. ბარ. ჯორჯაძისაგან. ფასი ათი შაური.

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	21	5	18				
მცხეთა. .	10	11	6	27	-	68	-	38
ბორი . .	11	58	9	43	2	40	1	33
ხაშური . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. .	1	44			4	42	2	46
უკირილა.	5	49			5	81	3	23
რიონი. .	6	57			6	75	3	75
სამტრედია.	7	51			7	73	4	29
ახ.-სენაკი.	8	43			8	57	4	76
ფოთი. .	9	50			9	75	5	42
ფოთი . .	9	83						
ახ.-სენაკი.	10	14			1	18	-	66
სამტრედია.	11	5			2	6	1	14
რიონი . .	12	13			3	4	1	69
უკირილა. .	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი. .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
ბორი . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა. .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი

ოცი სიტყვა თფილისიდამ:

	მ.	კაპ
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
ბორს, დუშეთს, სიღნაღს	-	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ფარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში	3	75

ფოსტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ოთხშ. ქუთეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ.
ლია წიგნის	4
დაბეჭდილის (სანი ფისხალი) .	8

მაზანდა

	მან	კაპ
თფილისი, 18 ივლისს.		
ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფთ.	1	50
ფქვილი წითელი. . .	1	30
ძერი ფუთი . . .	1	15
ბამბა ერევნისა, ფუთი .	7	—
— ამერიკისა, ფუთი . .	8	—
ბაპენტილი ბამბა ფუთი.	10	—
მატული თუშური ფთ.	8	—
—თარაქამისა ფთ. .	4	50
აბრეშუმი ნუხური სტ.	2	—
ძონი, ფუთი. . .	6	50
ძონის საბოლი ფუთი.	9	—
სტეარინის საბოლი, ფ.	12	80
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	81
—ცხვრისა, ლიტრა .	—	81
სპირტი, ვედრო . .	5	20
შაქარი, ბოლ. ფუთი .	7	80
— უბენილი ფუთი . .	6	40
ყავა გოგვალი, გირვ. .	—	70
ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	13	—
თამბაქო, საშუალო ფუთი	8	50

თფილისის სამკურნალო

ერევნის მაიდანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 9—1 მდინ.

ორშაბათს: ქიუჩარიანც—ნიროურგი, ბარალეციჩი—შინაგ. ავათმყ.

სამშაბათს: ვერმიშევი შინაგ. ავათმყოფობის, რეიხი და ბახუტონი—ბებიობის თვალის.

ოთხშაბათს: ვერმიშევი—შინაგანი ავათმყოფ., ბაკეტი—გულის და ნერვების ავათმყოფ.

ხუთშაბათს: ვერმიშევი — შინაგანი ავათმყოფ. ბავრინსკი—თვალის და ოპერატი—კბილის.

პარასკევს: ვერმიშევი—შინაგ. ავათმყოფ. ბახუტოვი და ქიუჩარიანცი.

შაბათს: ვერმიშევი შინაგანი ავათმყოფობის., რეიხი—თვალის ავათმყოფ. და ბაკეტი—გულის და ნერვების.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 19 Іюля 1878 г. Типографія Меликова. გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორის. მესხი.